




1. დოკუმენტის მიზანი

ბიზნესუწყვეტობის პოლიტიკა და მართვის მექანიზმების დოკუმენტი აღწერს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) სწავლების, მეცნიერებისა საქმიანობის და უნივერსიტეტის მართვის პროცესში რისკების შეფასებისა და მათი პრევენციის მეთოდებს, აგრეთვე ბიზნესუწყვეტობის გეგმასა და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებსა და ვადებს.

2. დოკუმენტის გამოყენების სფერო

დოკუმენტი გამოიყენება უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულების მიერ საქმიანობის წარმართვისას, აგრეთვე მესამე პირებთან ურთიერთობებში.

3. ბიზნესუწყვეტობის პოლიტიკა

ბიზნესუწყვეტობის პოლიტიკა წარმოადგენს უნივერსიტეტის მართვის მნიშვნელოვან კომპონენტს. იგი უზრუნველყოფს რისკის ხდომილების გათვალისწინებით საჭირო რისკების კონტროლის ღონისძიებების გატარების პროცესს, რომელიც გავლენას ახდენს უნივერსიტეტის მიზნებისა და დასახული ამოცანების მიღწევაზე.

ბიზნესუწყვეტობის პოლიტიკის ამოცანაა, მოახდინოს რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება.

რისკის მართვა წარმოადგენს ერთიან, უწყვეტ პროცესს, ატარებს პერმანენტულ ხასიათს და ეხება უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკს, როგორც წარსულში, ასევე მომავალში.

ბიზნესუწყვეტობის უზრუნველყოფის მექანიზმების მიზანია ბიზნესუწყვეტების ინციდენტების დადგომის შემთხვევაში უზრუნველყოს უნივერსიტეტის შეუფერხებელი საქმიანობა და ადამიანების უსაფრთხოება.

ბიზნესუწყვეტების ინციდენტების სიტუაციებში წარმოქმნილ გარემოებას უნივერსიტეტი განიხილავს, როგორც რისკებს, როლებსაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ მის ფუნქციონირებაზე, მოხდინონ საქმიანობის ნაწილობრივ შეფერხება, ხოლო რიგ შემთხვევაში - სრულ პარალიზებაც.

ბიზნესუწყვეტობის პოლიტიკა უზრუნველყოფს შემდეგი ამოცანების შესრულებას:

1. სწავლების, მეცნიერების საქმიანობის და უნივერსიტეტის მართვის პროცესში რისკების მართვის მდგრადი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც საშუალებას იძლევა ნებისმიერი საქმიანობა კონტროლირებად გარემოში წარიმართოს;
2. ადამიანების ჯანმრთელობის დაცვასა და უსაფრთხო ტერიტორიაზე განრიდებას;
3. ქონებისა და რესურსების ყაირათიანად მართვისა და გამოყენების ხელშეწყობას;
4. უნივერსიტეტის რეპუტაციის გაძლიერებას;
5. ადამიანური რესურსების, აქტივებისა და ინსტიტუციონალური ცოდნის ბაზის განვითარებას და გაძლიერებას;
6. ფინანსურ ოპერაციების ოპტიმიზაციას და სხვ.

4. ბიზნესუწყვეტობის უზრუნველყოფის პროცესში ჩართული მხარეები და პასუხისმგებლობა

რისკის მართვის პროცესში, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის თითოეული თანამშრომელი, ხოლო უნივერსიტეტში ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს გამართული სისტემის ჩამოყალიბებასა და ეფექტურ ფუნქციონირებას.

შესაბამისი მექანიზმების შემუშავების, განხორციელების პროცესის ზოგადი კონტროლის ახორციელებს უნივერსიტეტის რექტორი, ხოლო უშუალო კონტროლის უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ვიცე რექტორი ადმინისტრაციის საკითებში.

უნივერსიტეტის რექტორს პასუხისმგებლობა:

1. უზრუნველყოს ბიზნესუწყვეტობის პოლიტიკის შემუშავება და მისი ეფექტიანი დანერგვა;
2. უზრუნველყოს შემუშავებული ბიზნესუწყვეტობის პოლიტიკის პერიოდული შეფასების პროცესის განხორციელება.
3. რისკის მართვის შესაბამისი გარემოს შექმნა და რისკის კულტურის ცნობიერების ჩამოყალიბება;
4. უნივერსიტეტის მართვა კრიზისულ სიტუაციებში;
5. და სხვა საქმიანობები რაც უზრუნველყოფს ბიზნესუწყვეტობის უზრუნველყოფის პროცესში ზოგადი კონტროლს.

ვიცე-რექტორის პასუხისმგებლობა:

1. რისკების მართვისთვის აუცილებელია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის და საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების გამართული მუშაობა;
2. და სხვა საქმიანობები რაც უზრუნველყოფს ბიზნესუწყვეტობის უზრუნველყოფის პოლიტიკის ფუნქციონირებას.

სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა:

1. დამდგარი რისკების იდენტიფიკაცია, რისკის მისაღები დონის განსაზღვრა და მათ შესახებ ინფორმაციის წარდგენა;
2. რისკის მართვის გასაუმჯობესებლად მიღებული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა;
3. რისკების ამოფხვრის შემდეგ საჭიროების შემთხვევაში რისკით გამოწვეული დანაკარგების შესახებ ანგარიშის წარდგენა.
4. საჭიროების შემთხვევაში წინადადების წარდგენა არაეფექტიან, არასაჭირო და უშედეგო კონტროლის ღონისძიებების შესახებ;

თითოეული თანამშრომლის პასუხისმგებლობა:

1. რისკის მართვის პროცესის გაცნობიერება და ქმედითი ჩართულობა;
2. საჭიროების შემთხვევაში წინადადების წარდგენა არაეფექტიან, არასაჭირო და უშედეგო კონტროლის ღონისძიებების შესახებ;

5. ბიზნეს პროცესებზე რისკის ზემოქმედების ანალიზი

ბიზნეს პროცესებზე რისკის ზემოქმედების ანალიზი მოიცავს ძირითადი რისკების იდენტიფიკაციას და მათი ზეგავლენით სავარაუდო „მოცდენის პერიოდს“ განსაზღვრას. იგი ეფუძნება რისკების შეფასების მეთოდოლოგიას (იხ. დანართი 1)

რისკების შეფასება მიმართულია პოტენციურ საფრთხეებისა და საშიშროების დასადგენად და აღმოსაფხვრელად, რაც უარყოფითად შეიძლება აისახოს უნივერსიტეტზე, იგი ორიენტირებულია შეაფასოს შემთხვევის დადგომის ალბათობა და გავლენის სიმძიმე. დაუცველობის ანალიზი ბიზნესის პროცესების უწყვეტობის გეგმის საფუძველია და ის გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლებოდა უნივერსიტეტს გამოეყენებინა დამატებითი დრო და რესურსები მოსალოდნელი და მძიმე მოვლენების შესამცირებლად და გეგმის შესამუშავებლად.

უნივერსიტეტი, მისი მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ახდენს აგრეთვე, შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით, რისკების დაყოფას კატეგორიებად. რისკის კატეგორიების იდენტიფიკაცია გულისხმობს ზემოქმედების შედეგების განსაზღვრას, რათა მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები.

უნივერსიტეტში ძირითადი ბიზნეს პროცესების შეფასების შედეგად გამოყოფილია შემდეგი სახის რისკები:

- 1. განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები**
რისკები, რომლებიც გამომდინარეობს საქართველოსა და სხვა ქვეყნებში სახელმწიფო განათლების სფეროში პოლიტიკის, აგრეთვე უდს-ბის სტატუსთან, მართვასთან და ფინანსურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებებიდან.
- 2. საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობასთან დაკავშირებული რისკები**
რისკები, რომლებიც თავს იჩენენ განათლების სფეროში საქართველოსა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის პროცესში;
- 3. ადამინური, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვასთან დაკავშირებული რისკები**
რისკები, რომლებიც თავს იჩენენ უნივერსიტეტში ადამინური, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვის პროცესში აგრეთვე ინტერნეტთან წვდომის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისას;
- 4. რეპუტაციასთან და ბრენდის ცნობადობასთან დაკავშირებული რისკები**
რისკები, რომლებიც გამომდინარეობს უნივერსიტეტის დაბალი ცნობადობიდან და სამიზნე და ჩართულ მხარეთა ნეგატიური განწყობიდან.
- 5. ფორსმაჟორულ სიტუაციებთან დაკავშირებული რისკები**
რისკები, რომლებიც გამომდინარეობს დამდგარი სტიქიური უბედურებიდან (წყალდიდობა, ძლიერი ქარი, ქარბორბალა, მიწისძვრამ ხანძარი), ტერორისტული აქტებიდან, ვირუსული/ეპიდემიური დაავადებით გამოწვეული კარატინიდან და შენობა-ნაგებობების ნგრევიდან.

უნივერსიტეტი, რისკების გამოვლენისა და შეფასების პროცესის ფარგლებში, უზრუნველყოფს პოტენციური და არსებული რისკების გაზომვას, რომლის დროსაც ხდება რისკის ანალიზის შედეგებისა და რისკის კრიტერიუმების შედარება.

რისკის გაზომვის მიზანია, შესაბამისი პრევენციული ზომები იქნას მიღებული კონკრეტული კრიტერიუმებიდან, უნივერსიტეტის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე და ითვალისწინებს შეფასებული, ანუ რეიტინგ მინიჭებული რისკის შედარებას არსებულ კონტროლის მექანიზმებთან და უნივერსიტეტისთვის რისკის მისაღებ დონესთან.

რისკის შეფასების შედეგად, მიიღება გადაწყვეტილება, თუ რა სახის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს გამოვლენილი რისკების საპასუხოდ. საპასუხო ღონისძიებათა მიზანია, უნივერსიტეტის წინაშე არსებული რისკების უარყოფითი ზეგავლენის შემცირება, რაც აისახება

საფრთხის შემცირებაში და უნივერსიტეტის მიერ დასახული მიზნების სრულყოფილად მიღწევაში.

საპასუხო ღონისძიებებს შორის საუკეთესოს შერჩევა მოიცავს ყოველი სახის ღონისძიების ხარჯისა და სარგებლის შედარებას. რისკის მართვის ღირებულება უნდა იყოს შესაბამისი იმ სარგებლისა, რაც მიიღება ამ მართვის შედეგად. როდესაც ხორციელდება ხარჯის სარგებელთან შედარება, გათვალისწინებულ უნდა იქნას კონკრეტული გარემო და ვითარება. მნიშვნელოვანია, მხედველობაში მიღებულ იქნას ყველა პირდაპირი და ირიბი ხარჯი და სარგებელი, (როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური) მოხდეს მათი შეფასება ფინანსური ან სხვა მეთოდით. საპასუხო ღონისძიებების შერჩევის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ისეთი ფაქტორები, როგორიცაა პოლიტიკური, სოციალური და სხვა.

ყოველ რისკთან მიმართებაში უნივერსიტეტმა უნდა განსაზღვროს კონკრეტული საპასუხო ქმედებები. მათ შორის:

1. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა შეიმუშავებს და ახორციელებს სხვადასხვა მიმართველობითი გადაწყვეტილებებს, რათა არ დადგეს კონკრეტული რისკის წარმოქმნის წინაპირობა;
2. კონკრეტულ რისკზე რეაგირების საპასუხო ქმედებების განხორციელება;
3. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა იყენებს რისკზე რეაგირების იმგვარ საპასუხო ქმედებას, როდესაც კონკრეტული საპასუხო ქმედებების განხორციელება ან არაპრაქტიკულია, ან/და რიგ შემთხვევებში, შეუძლებელიც კი არის. ასევე, შეგუება და მონიტორინგი ხდება ისეთ რისკებზე, რომელთა ზემოქმედების დონე უმნიშვნელოა, მაგრამ რომელთა მახასიათებლები შესაძლებელია მომავალში შეიცვალოს და სხვა.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია წელიწადში ერთხელ აფასებს როგორც თავად რისკებს, ასევე რისკების მართვის გეგმით დასახულ რეაგირების პროცედურებს, აგრეთვე უზრუნველყოფს ცვლილებების შესახებ თანამშრომლების ინფორმირებას.

6. ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა

უნივერსიტეტში სტუდენტების, თანამშრომლებისა და სტუმრების ნებისმიერ დროს, მათ შორის პროცესების მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო შეფერხების შემთხვევაში უწყვეტი მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნით შემუშავდა ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა.

ბიზნეს უწყვეტობის გეგმის მიზანია, უზრუნველყოს უნივერსიტეტის სრულფასოვანი ფუნქციონირება სხვადასხვა სახის რისკების წარმოქმნის შემთხვევაში, მოიცავს ყველა სტრუქტურული ერთეულის უწყვეტ რეჟიმში ფუნქციონირებაზე მიმართულ საქმიანობებს, რათა დამდგარი რისკის შემთხვევაში, მინიმუმამდე შემცირდეს წარმოქმნილი დანაკარგები, სწრაფად აღდგეს ბიზნეს პროცესები და უნივერსიტეტმა ჩვეულ რეჟიმში გაგრძელოს ფუნქციონირება.

ბიზნეს უწყვეტობის გეგმა აღწერს რისკების პრევენციაზე მიმართულ საქმიანობებს, აგრეთვე დამდგარი რისკის შემთხვევაში, უნივერსიტეტის ბიზნეს პროცესის აღსადგენად მიმართულ საქმიანობას და მასზედ პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს/თანამდებობის პირებს (იხ. დანართი 2).

დანართი 1: რისკების განსაზღვრის მეთოდოლოგია

რისკის არსი და მისი ძირითადი მახასიათებლები

რისკი არის იმ შედეგის დადგომის ალბათობა, რომელიც წარმოადგენს გადახრას დაგეგმილი/მოსალოდნელი შედეგიდან და უარყოფითად მოქმედებს უნივერსიტეტის მიზნების მიღწევაზე.

რისკი მნიშვნელობა და ზეგავლენა ბიზნეს პროცესებზე განისაზღვრება ხდომილების ალბათობისა და რისკის გავლენის მახასიათებლების კომბინაციით.

ხდომილების ალბათობა

ხდომილების ალბათობა არის კონკრეტული შედეგის დადგომის შესაძლებლობა, სადაც გასათვალისწინებელია შედეგის დადგომის სიხშირე. ხდომილების ალბათობის განსაზღვრისას ყურადღებაში უნდა იქნეს მიღებული საგანმანათლებლო სფეროში, მათ შორის უნივერსიტეტში, კონკრეტული რისკის წარმოქმნის არსებული ფაქტების სტატისტიკა.

ხდომილების ალბათობის მიხედვით, განისაზღვრება რისკის შემდეგი დონეები და შესაბამისი ქულები:

ხდომილება	აღწერა
დიდი ალბათობა (5)	მოსალოდნელია, რომ ნორმალურ სიტუაციაში რეგულარულად მოხდეს
სავარაუდო (4)	მოსალოდნელია, რომ ზოგჯერ მოხდეს
შესაძლებელი (3)	შეიძლება მოხდეს იშვიათად
ნაკლებად სავარაუდო (2)	სავარაუდოდ არ მოხდება გარკვეული დროის მანძილზე
იშვიათი (1)	შესაძლოა ოდესმე მოხდეს, მაგრამ დიდი ალბათობით არასდროს მოხდება

რისკის გავლენა

რისკი გავლენა არის კონკრეტული შედეგის დადგომის შემთხვევაში, რისკით მიღებული ეფექტი.

გავლენა ითვალისწინებს ოთხ ელემენტს:

1. დრო;
2. ხარისხი;
3. სარგებელი;
4. ადამიანური და სხვა რესურსები.

გავლენის მიხედვით, განისაზღვრება რისკის შემდეგი დონეები და შესაბამისი ქულები:

გავლენა	რისკის მართვისათვის საჭირო ქმედებები
კრიტიკული (5)	• საჭიროებს მყისიერ რეაგირებას; • დაუყოვნებლივ უნდა ახდენს ადამიანთა განრიდებას უსაფრთხო ზონებში; • დამდგარი რისკის სპეციფიკის გათვალისწინებით ხდება შეტყობინების გაგზავნა იმ ორგანოში (მათ შორის სახელმწიფოში), რომელსაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია და მოვალეობა რათა მოახდინოს რეაგირება; • მოხდეს იმ ტერიტორიის იზოლაცია, სადაც ადგილი ქონდა რისკის დადგომას;

	• უზრუნველყოფს ფუნქციონირებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და მატერიალური ფინანსური დაცვა;
მაღალი (4)	• საჭიროა დაუყოვნებლივი რეაგირება; • უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს დამდგარი შედეგების მაქსიმალურად სწრაფ აღმოფხვრას, რათა აღდგენილი იქნეს უნივერსიტეტის ფინანსური, ორგანიზაციული ანდა ოპერაციულ მდგრადობა; • სტრუქტურული ერთეულების მიერ საჭიროების მიხედვით შეტყობინება მიეწოდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, რეაგირებისათვის.
შესაძლებელი (3)	• უნდა განსაზღვრის ადექვატური არის თუ არა არსებული კონტროლის პროცედურები ან განისაზღვროს შემდგომი ქმედებებისა ან რისკის აღმოფხვრის აუცილებლობა; • მონიტორინგი და შემოწმება, მაგ. არსებული ბიზნეს პრაქტიკისა ან შეხვედრების (თათბირების) საშუალებით.
ნაკლებად მნიშვნელოვანი (2)	• ჩვეულებრივ პროცედურებით მართვა; • დამდგარი რისკთან დაკავშირებული ქმედებების შესახებ ანგარიში მიწოდება მენეჯერების; • საჭიროების შემთხვევაში მონიტორინგი და შეფასება.
უმნიშვნელო (1)	• არ საჭიროებს რაიმე რეაგირებას • დამდგარი რისკის შესახებ ინფორმაცია მიწოდება მენეჯერების;

გ) რისკების დონე

შესაძლო ყოველი რისკის დონე უნდა შეფასდეს მისი ხდომილების და ობიექტზე ან სუბიექტზე მისი შესაძლო გავლენის მიხედვით.

იგი გამოითვლება ფორმულით $L \times S$ სადაც L არის რისკის ხდომილება, ხოლო S არის რისკის გავლენა.

რისკი დონე	$L \times S$
კრიტიკული	20 - 25
მაღალი	15 - 19
ზომიერი	10-14
ნაკლებად მნიშვნელოვანი	5 - 9
დაბალი	1 - 4

რისკების მატრიცა

რისკების ძირითადი მახასიათებლებზე დაფუძნებით შემუშავებული რისკების მატრიცა. რისკების მატრიცა ასახავს რისკის მოხდენის ალბათობისა და მისი გავლენის ერთობლიობას.

რისკების შეფასება ხდება შემდეგი ფორმულით

ალბათობა	რისკის გავლენა				
	უმნიშვნელო (1)	ნაკლებად მნიშვნელოვანი (2)	ზომიერი (3)	მაღალი (4)	კრიტიკული (5)

დიდი ალბათობა (5)	ნაკლებად მნიშვნელოვანი 5	ზომიერი 10	მაღალი 15	კრიტიკული 20	კრიტიკული 25
სავარაუდო (4)	დაბალი 4	ნაკლებად მნიშვნელოვანი 8	ზომიერი 12	მაღალი 16	კრიტიკული 20
შესაძლებელი (3)	დაბალი 3	ნაკლებად მნიშვნელოვანი 6	მაღალი 9	ზომიერი 12	მაღალი 15
ნაკლებად სავარაუდო (2)	დაბალი 2	დაბალი 4	ნაკლებად მნიშვნელოვანი 6	ნაკლებად მნიშვნელოვანი 8	ზომიერი 10
იშვიათი (1)	დაბალი 1	დაბალი 2	დაბალი 3	დაბალი 4	ნაკლებად მნიშვნელოვანი 5

უპირველეს ყოვლისა, განიხილება და იმართება რისკები, რომელთა ხდომილების ალბათობა და გავლენა ყველაზე მაღალია. რიგითობით, ყოველი შემდეგია რისკი ნაკლები მოხდენის ალბათობითა და გავლენით. პრაქტიკაში, ეს კომპლექსური პროცესი, რადგან არსებობს რისკები, რომელთა ხდომილების ალბათობა არის მაღალი, მაგრამ დაბალია გავლენა და/ან პირიქით. ასეთ შემთხვევებში, ხდება რისკების პრიორიტეტებად დალაგება უნივერსიტეტის მიზნებისა და ამოცანებიდან გამომდინარე, შეცდომის დაშვების თავიდან აცილების მიზნით.

ყველა ის რისკი რომლის ალბათობა დიდია, ხოლო გავლენა პროცესებზე კრიტიკულია, უმეტესწილად დაკავშირებული ადამიანთა ჯანმრთელობას და სიცოცხლესთან, ამიტომაც საჭიროებს განსაკუთრებით ყურადღებასა, სწრაფ და ეფექტიან რეაგირებას.

დანართი 2: ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა

1. განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები

რისკი	ხდომილების ალბათობა	გავლენა უნივერსიტეტის საქმიანობაზე	პრევენციული ქმედება	პასუხისმგებელი და ჩართული სტრუქტურული ერთეული	რეაგირება/ქმედება
1.1. განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილება	შესაძლებელი	მაღალი	- საკანონმდებლო სიახლეების მონიტორინგი. - განათლების სამინისტროს სამუშაო ჯგუფებში აქტიური ჩართულობა	პასუხისმგებელი ერთეული - რექტორი ჩართული სტრუქტურული ერთეული - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	- უნივერსიტეტის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ცვლილების საჭიროების განსაზღვრა. - ფინანსური მდგრადობის განსაზღვრა და გაუმჯობესება. - შესაბამისი დოკუმენტაციებში და რეგულაციებში ცვლილებების შეტანა
1.2. უცხოეთის მოქალაქეების საქართველოში სწავლების საკითხში სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილება	ნაკლებად სავარაუდო	მაღალი	- საკანონმდებლო სიახლეების მონიტორინგი.	პასუხისმგებელი ერთეული - რექტორი ჩართული სტრუქტურული ერთეული - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, - საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	- უნივერსიტეტის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ცვლილების საჭიროების განსაზღვრა. - ფინანსური მდგრადობის განსაზღვრა და გაუმჯობესება. - შესაბამისი დოკუმენტაციებში და რეგულაციებში ცვლილებების შეტანა - ალტერნატიული ბაზრებზე შესვლის პერსპექტივის შესწავლა და შესაბამისი სამუშაოების ჩატარება

რისკი	ხდომილების ალბათობა	გავლენა უნივერსიტეტის საქმიანობაზე	პრევენციული ღონისძიებები	პასუხისმგებელი და ჩართული სტრუქტურული ერთეული	რეაგირება/ქმედება
1.3. უცხოეთში განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილება	ნაკლებად სავარაუდო	მაღალი	- საკანონმდებლო სიახლეების მონიტორინგი.	პასუხისმგებელი ერთეული - რექტორი ჩართული სტრუქტურული ერთეული - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, - საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი	- უნივერსიტეტის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ცვლილების საჭიროების განსაზღვრა. - ფინანსური მდგრადობის განსაზღვრა და გაუმჯობესება. - შესაბამისი დოკუმენტაციებში და რეგულაციებში ცვლილებების შეტანა - ალტერნატიული ბაზრებზე შესვლის პერსპექტივის შესწავლა და შესაბამისი სამუშაოების ჩატარება
1.4. განათლების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის (მათ შორის უსდ-ბის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები, დარგობრივი მახასიათებლები, პროცედურები და ა.შ) ცვლილება	შესაძლებელი	მაღალი	- საკანონმდებლო სიახლეების მონიტორინგი. - განათლების სამინისტროს სამუშაო ჯგუფებში აქტიური ჩართულობა	პასუხისმგებელი ერთეული - რექტორი ჩართული სტრუქტურული ერთეული - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური,	- უნივერსიტეტის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ცვლილების საჭიროების განსაზღვრა. - ფინანსური მდგრადობის განსაზღვრა და გაუმჯობესება. - შესაბამისი დოკუმენტაციებში და რეგულაციებში ცვლილებების შეტანა
1.5. უსდ-ის დაფინანსების სისტემის ცვლილება	შესაძლებელი	მაღალი	- საკანონმდებლო სიახლეების მონიტორინგი. - განათლების სამინისტროს სამუშაო ჯგუფებში აქტიური ჩართულობა	პასუხისმგებელი ერთეული - რექტორი ჩართული სტრუქტურული ერთეული - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური,	- უნივერსიტეტის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ცვლილების საჭიროების განსაზღვრა. - ფინანსური მდგრადობის განსაზღვრა და გაუმჯობესება. - შესაბამისი დოკუმენტაციებში და რეგულაციებში ცვლილებების შეტანა

რისკი	ხდომილების ალბათობა	გავლენა უნივერსიტეტის საქმიანობაზე	პრევენციული ღონისძიებები	პასუხისმგებელი და ჩართული სტრუქტურული ერთეული	რეაგირება/ქმედება
1.6. სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტებით დაფინანსების სისტემის ცვლილება	შესაძლებელი	მაღალი	- საკანონმდებლო სიახლეების მონიტორინგი. - განათლების სამინისტროს სამუშაო ჯგუფებში აქტიური ჩართულობა	პასუხისმგებელი ერთეული - რექტორი ჩართული სტრუქტურული ერთეული - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური,	- უნივერსიტეტის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ცვლილების საჭიროების განსაზღვრა. - ფინანსური მდგრადობის განსაზღვრა და გაუმჯობესება. - შესაბამისი დოკუმენტაციებში და რეგულაციებში ცვლილებების შეტანა

2. საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობასთან დაკავშირებული რისკები

რისკი	ხდომილების ალბათობა	გავლენა უნივერსიტეტის საქმიანობაზე	პრევენციული ღონისძიებები	პასუხისმგებელი და ჩართული სტრუქტურული ერთეული	რეაგირება/ქმედება
2.1. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დაკარგვა	შესაძლებელი	მაღალი	- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისობისა და ეფექტიანობის პერიოდული შეფასება. - პოლიტიკების, პროცედურებისა და პროცესების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და ეფექტიანობის შეფასება და განახლება - ჩართული პერსონალის შეფასება და მათი უნარ-ჩვევების გაუმჯობესება - ყველა სახის კმაყოფილების კვლევების ჩატარება; - უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება	პასუხისმგებელი ერთეული - ფაკულტეტის საბჭო ჩართული სტრუქტურული ერთეული - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, - სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისა და სტუდენტური სერვისების განყოფილება - სხვა ფაკულტეტები	- უნივერსიტეტის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ცვლილების საჭიროების განსაზღვრა. - ფინანსური მდგრადობის განსაზღვრა. - შესაბამის დოკუმენტაციებში და რეგულაციებში ცვლილებების შეტანა. - სტუდენტების ინფორმირება და სწავლების ალტერნატიული გზების შეთავაზება.; - საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის გეგმის შემუშავება. - არსებული აკადემიური და მოწვეული კონტინგენტის ალტერნატიული უნივერსიტეტში სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე დასაქმების საკითხის შეფასება; - აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე მიმართული ტრენინგების ჩატარება - ახალი აკადემიურ პერსონალის მოზიდვა
2.2. საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის დაკარგვა	შესაძლებელი	დაბალი	- საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისობისა და ეფექტიანობის პერიოდული შეფასება. - პოლიტიკების,	პასუხისმგებელი ერთეული - ფაკულტეტის საბჭო ჩართული სტრუქტურული ერთეული - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური,	- უნივერსიტეტის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ცვლილების საჭიროების განსაზღვრა. - ფინანსური მდგრადობის განსაზღვრა. - შესაბამის დოკუმენტაციებში და რეგულაციებში ცვლილებების შეტანა. - სტუდენტების ინფორმირება და სწავლების ალტერნატიული გზების შეთავაზება.;

რისკი	ხდომილების ალბათობა	გავლენა უნივერსიტეტის საქმიანობაზე	პრევენციული ღონისძიებები	პასუხისმგებელი და ჩართული სტრუქტურული ერთეული	რეაგირება/ქმედება
			პროცედურებისა და პროცესების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და ეფექტიანობის შეფასება და განახლება - ჩართული პერსონალის შეფასება და მათი უნარ-ჩვევების გაუმჯობესება - ყველა სახის კმაყოფილების კვლევების ჩატარება; - უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება	- სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისა და სტუდენტური სერვისების განყოფილება - სხვა ფაკულტეტები	- საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის გეგმის შემუშავება. - არსებული აკადემიური და მოწვეული კონტინგენტის ალტერნატიული უნივერსიტეტში სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე დასაქმების საკითხის შეფასება; - აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე მიმართული ტრენინგების ჩატარება - ახალი აკადემიურ პერსონალის მოზიდვა
2.3. უსდ-ს ავტორიზაციის დაკარგვა	შესაძლებელი	მაღალი	- ინსტიტუციის ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისობის შეფასება. - პოლიტიკების, პროცედურებისა და პროცესების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და ეფექტიანობის შეფასება და განახლება - პერსონალის პერიოდული შეფასება და მათი უნარ-ჩვევების გაუმჯობესება - ყველა სახის კმაყოფილების კვლევების ჩატარება	პასუხისმგებელი ერთეული - რექტორი ჩართული სტრუქტურული ერთეული - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, - სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისა და სტუდენტური სერვისების განყოფილება - სხვა ფაკულტეტები	- უნივერსიტეტის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ცვლილების საჭიროების განსაზღვრა. - ფინანსური მდგრადობის განსაზღვრა. - შესაბამის დოკუმენტაციებში და რეგულაციებში ცვლილებების შეტანა. - სტუდენტების ინფორმირება და სწავლების ალტერნატიული გზების შეთავაზება.; - საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი ავტორიზაციის გეგმის შემუშავება. - აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე მიმართული ტრენინგების ჩატარება - ახალი აკადემიური პერსონალის მოზიდვა

რისკი	ხდომილების ალბათობა	გავლენა უნივერსიტეტის საქმიანობაზე	პრევენციული ღონისძიებები	პასუხისმგებელი და ჩართული სტრუქტურული ერთეული	რეაგირება/ქმედება
			- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება		
2.4. კონტინგენტის გაზრდის მოთხოვნაზე უარყოფითი გადაწყვეტილება	მაღალი	ზომიერი	- ინსტიტუციის ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისობის შეფასება. - პოლიტიკების, პროცედურებისა და პროცესების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და ეფექტიანობის შეფასება და განახლება - პერსონალის პერიოდული შეფასება და მათი უნარ-ჩვევების გაუმჯობესება - ყველა სახის კმაყოფილების კვლევების ჩატარება - უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის გაუმჯობესება	პასუხისმგებელი ერთეული - რექტორი ჩართული სტრუქტურული ერთეული - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, - სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისა და სტუდენტური სერვისების განყოფილება - სხვა ფაკულტეტები	- უნივერსიტეტის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ცვლილების საჭიროების განსაზღვრა. - ფინანსური მდგრადობის განსაზღვრა. - შესაბამის დოკუმენტაციებში და რეგულაციებში ცვლილებების შეტანა. - სტუდენტების ინფორმირება და სწავლების ალტერნატიული გზების შეთავაზება.; - კონტინგენტის გაზრდის ხელახალი მოთხოვნის მიმართული სამუშაოთა გეგმის შემუშავება. - აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე მიმართული ტრენინგების ჩატარება - ახალი აკადემიური პერსონალის მოზიდვა

3. ადამინური, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვასთან დაკავშირებული რისკები
ადამინური რესურსების მართვასთან დაკავშირებული რისკები

რისკი	ხდომილების ალბათობა	გავლენა უნივერსიტეტის საქმიანობაზე	პრევენციული ქმედება	პასუხისმგებელი და ჩართული სტრუქტურული ერთეული	რეაგირება/ქმედება
3.1. საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად საჭირო აკადემიური პერსონალის რაოდენობის შემცირება	ნაკლებად სავარაუდო	მაღალი	- არსებული აკადემიური პერსონალის დენადობის შემცირების მიზნით ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით გათვალისწინებული მეთოდების გამოყენება (აფილირება, წახალისება, მოქნილი სახელფასო სისტემა და სხვ) - აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების სქემაში ჩართვა	პასუხისმგებელი ერთეული - ფაკულტეტის საბჭო, ჩართული სტრუქტურული ერთეული - ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი; - იურიდიული დეპარტამენტი; - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	- სამუშაოების არსებულ აკადემიური პერსონალის შორის დროებითი გადანაწილება, - შესაბამის კვალიფიკაციის მქონე სხვა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალით დროებითი ჩანაცვლება, - თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება.
3.2. საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად საჭირო მოწვეული პერსონალის რაოდენობის შემცირება	ნაკლებად სავარაუდო	ზომიერი	- არსებული მოწვეული პერსონალის დენადობის შემცირების მიზნით ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით გათვალისწინებული მეთოდების გამოყენება (წახალისება, დატვირთვის მოქნილი სქემის შეთავაზება, მოქნილი სახელფასო სისტემა და სხვ) - მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების სქემაში ჩართვა	პასუხისმგებელი ერთეული - ფაკულტეტის საბჭო, ჩართული სტრუქტურული ერთეული - ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი; - იურიდიული დეპარტამენტი; - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	- სამუშაოების არსებულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალის შორის დროებითი გადანაწილება, - შესაბამის კვალიფიკაციის მქონე სხვა ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალით დროებითი ჩანაცვლება, - თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება.

რისკი	ხდომილების ალბათობა	გავლენა უნივერსიტეტის საქმიანობაზე	პრევენციული ღონისძიებები	პასუხისმგებელი და ჩართული სტრუქტურული ერთეული	რეაგირება/ქმედება
3.3. უნივერსიტეტის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის საჭირო ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობის შემცირება	ნაკლებად სავარაუდო	ზომიერი	- არსებული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის დენადობის შემცირების ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით გათვალისწინებული მეთოდების გამოყენება (წახალისება, მოქნილი დატვირთვისა და სახელფასო სისტემა და სხვ) - პროფესიული განვითარების სქემაში ჩართვა	პასუხისმგებელი ერთეული - სტრუქტურული ერთეულის უფროსი ჩართული სტრუქტურული ერთეული - ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი; - იურიდიული დეპარტამენტი;	- სამუშაოების არსებულ თანამშრომელთა შორის გადანაწილება, - შესაბამის კვალიფიკაციის მქონე პერსონალით დროებითი ჩანაცვლება, - დროებით სამუშაოზე სტუდენტების მოზიდვა; - თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება

ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული რისკები

რისკი	ხდომილების ალბათობა	გავლენა უნივერსიტეტი ს საქმიანობაზე	პრევენციული ქმედება	პასუხისმგებელი და ჩართული სტრუქტურული ერთეული	რეაგირება/ქმედება
3.4. საკანონმდებლო ცვლილებებით გამოწვეული ახალი და/ან დამატებითი ფინანსური ვალდებულებების ზრდა	შესაძლებელი	მაღალი	- საკანონმდებლო მაცნის მონიტორინგი. - განათლების სამინისტროს საკანონმდებლო ცვლილებებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფებში ჩართულობა	პასუხისმგებელი ერთეული - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ჩართული სტრუქტურული ერთეული - ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი; - იურიდიული დეპარტამენტი; - საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი;	- უნივერსიტეტის წლიურ ბიუჯეტში ცვლილებების საჭიროების შეფასება და განხორციელება - უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ცვლილების საჭიროების განსაზღვრა და განხორციელება. - ფინანსური მდგრადობის განსაზღვრა და დამატებითი ფინანსების მოძიებაზე მიმართული ქმედებების განხორციელება - დოკუმენტაციაში და რეგულაციებში ცვლილებების შეტანის საჭიროების შეფასება და განხორციელება
3.5. ადმინისტრაციული ჯარიმების დაკისრებით ფინანსური ვალდებულებების ზრდა	ნაკლებად სავარაუდო	მაღალი	- გადახდების მუდმივი კონტროლი	პასუხისმგებელი ერთეული - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ჩართული სტრუქტურული ერთეული - ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი; - იურიდიული დეპარტამენტი; - საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი;	- ადმინისტრაციული ჯარიმების წარმოქმნის მიზეზების კვლევა - უნივერსიტეტის წლიურ ბიუჯეტში ცვლილებების საჭიროების შეფასება და განხორციელება - ფინანსური მდგრადობის განსაზღვრა და დამატებითი ფინანსების მოძიებაზე მიმართული ქმედებების განხორციელება - დოკუმენტაციაში და რეგულაციებში ცვლილებების შეტანის საჭიროების შეფასება და განხორციელება
3.6. საგადასახადო ჯარიმების დაკისრებით ფინანსური	ნაკლებად სავარაუდო	მაღალი	- გადახდების მუდმივი კონტროლი	პასუხისმგებელი ერთეული - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	- საგადასახადო ჯარიმების წარმოშობის მიზეზების კვლევა; - უნივერსიტეტის წლიურ ბიუჯეტში ცვლილებების საჭიროების შეფასება და

რისკი	ხდომილების ალბათობა	გავლენა უნივერსიტეტი ს საქმიანობაზე	პრევენციული ქმედება	პასუხისმგებელი და ჩართული სტრუქტურული ერთეული	რეაგირება/ქმედება
